შპს წყალი და გრუნტი WATER AND SOIL LLC
ს/კ 436046574 I/C 436046574
ტელ.:+995 75 48 92 TEL.:+995 75 48 92
ელ-ფ: infowaterandsoil@gmail.com E-mail: infowaterandsoil@gmail.com

შპს "წყალი და გრუნტი"

220 კვ ძაბვის ეგხ „კოლხიდა-1"-ის №112′, №113′, №156′ და №182′ საპროექტო საყრდენების დაფუძნების ადგილების და მიმდებარე ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შემცველი მოვლენების კვლევა

თბილისი

2023

შპს "წყალი და გრუნტი"

220 კვ ძაბვის ეგხ „კოლხიდა-1"-ის №112′, №113′, №156′ და №182′ საპროექტო საყრდენების დაფუძნების ადგილების და მიმდებარე ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შემცველი მოვლენების კვლევა

შპს „წყალი და გრუნტის" დირექტორი,
პროფესორი მარინე მარდაშოვა

Marine Mardashova 51001006017
Digitally signed by Marine Mardashova
Date: 2023.01.27 22:24:37

შპს "წყალი და გრუნტი" 436046574 "WATER AND SOIL" LLC

თბილისი

2023

ტექნიკური დავალება

220 კვ ძაბვის ეგხ „კოლხიდა-1“-ის №112′, №113′, №156′ და №182′ საპროექტო საყრდენების დაფუძნების ადგილების და მიმდებარე ტერიტორიის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შემცველი მოვლენების კვლევა

1. გასაწევი მომსახურების დეტალური ჩამონათვალი

ცხრილი №1

№	მომსახურების დასახელება
1	№112′, №113′, №156′ და №182′ საპროექტო საყრდენების დაფუძნების ადგილების და მიმდებარე ტერიტორიის არსებული მდგომარეობის საველე-კამერალური შესწავლა-შეფასება
2	საყრდენების დაფუძნების წერტილების და მიმდებარე საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შეფასება, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენა, ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში გრუნტ(ებ)ის მდგრადობის დეტალური ანგარიში
3	ჩატარებული კვლევების საფუძველზე საბოლოო ტექნიკური ანგარიშის მომზადება

შენიშვნა: მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ.

2. პრობლემური სიტუაციის და გასაწევი მომსახურების მოკლე აღწერა

220 კვ ეგხ ,,კოლხიდა-1“-ის საყრდენები ექსპლუატაციაშია 1958 წლიდან. ექსპლუატაციის პროცესში გარკვეულმა საყრდენებმა განიცადეს კოროზია, რის გამოც მიღებულ იქნა არსებული №112, №113, №156 და №182 საყრდენების დემონტაჟის და ახალი საპროექტო №112′, №113′, №156′ და №182′ საყრდენების მონტაჟის გადაწყვეტილება. საპროექტო საყრდენები დამონტაჟდებიან არსებული წერტილების სიხლოვეს რამდენიმე მეტრში.

საწყის ეტაპზე საჭიროა განხორციელდეს არსებული სიტუაციის საველე-კამერალური შესწავლა-მოკვლევა, საყრდენების საპროექტო დაფუძნების წერტილის და მიმდებარე

Marine Mardashova 51001006017

Digitally signed by Marine Mardashova
Date: 2022.12.02 14:17:45

ტერიტორიის ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შეფასება. შემდგომ ეტაპზე საყრდენების დაფუძნების წერტილების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენა, საჭიროების შემთხვევაში გრუნტ(ებ)ის მდგრადობის დეტალური ანგარიში. ჩატარებული კვლევების საფუძველზე საყრდენების საპროექტო დაფუძნების წერტილების და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შემცველი მოვლენების კვლევა. იმ შემთხვევაში თუ საყრდენის საპროექტო დაფუძნების წერტილები, საკვლევი არეალი და გრუნტი არამდგრადია (შეუძლებელია რაიმე სახის დამცავი ღონისძიებების გატარება) ალტერნატიული უსაფრთხო არეალის (წერტილები) კონკრეტული კოორდინატების მოწოდება (ტოპო-გეგმაზე კოორდინატების ჩვენებით) და დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება ცხრილ №1-ში მოცემული პუნქტების შესაბამისად. ჩატარებული კვლევების საფუძველზე საბოლოო ტექნიკური ანგარიშის მომზადება.

3. გეოგრაფიული მდებარეობა, საყრდენების და საძირკვლების ძირითადი მახასიათებლები

ცხრილი №2

№	საყრდენის ნომერი	ტერიტორიის ადგილმდებარეობა	საყრდენის დაფუძნების ცენტრის კოორდინატი		
			X	Y	Z
1	112′	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქ. სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია	279666.48	4669777.49	20.5
2	113′	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქ. სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია	279862.55	4669770.09	21
3	156′	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ქუთაისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია	290591.57	4674154.31	43.5
4	182′	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ფარცხანაყანევის მიმდებარე ტერიტორია	298642.67	4675078.32	74

- საძირკვლების ტიპი - ანაკრები-რკინაბეტონის;
- სავარაუდო მაქსიმალური დატვირთვა გრუნტზე - 500 კგ/მ²-ზე;
- საძირკვლების სავარაუდო ჩაღრმავება - 3.0-3.5 მ;
- საგები გრუნტები შესწავლილ უნდა იქნას: არანაკლებ 8.0 მ. სიღრმეზე არაკლდოვან ქანებში, ხოლო კლდოვან ქანში - არანაკლებ 5 მეტრ სიღრმემდე;
- გამონამუშევრები (შურფი/ჭაბურღილი) უნდა მოეწყოს №112′, №113′, №156′ და №112′ საყრდენების საპროექტო დაფუძნების ადგილის ცენტრების წერტილებზე არანაკლებ 1 (ერთი) ჭაბურღილი (ჯამში 4 ჭაბურღილი). ინჟინერ-გეოლოგის შეხედულებისამებრ შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში გაყვანილ იქნა დამატებითი შურფ/ჭაბურღილები. დამატებითი გამონამუშევრების (შურფი/ჭაბურღილი) რაოდენობა და მოცულობა (შურფ-ჭაბურღილის რაოდენობა და სიღრმე) უნდა განისაზღვროს თავად კვლევის ჩამტარებლის (ინჟინერ-გეოლოგი) მიერ. საყრდენის ცენტრის კოორდინატები იხილეთ სიტუაციურ გეგმაზე და ცხრილი №2-ში.

4. გასაწევი მომსახურების მოცულობა:

4.1 №112′, №113′, №156′ და №182′ საყრდენების დაფუძნების ადგილების და მიმდებარე ტერიტორიის არსებული მდგომარეობის საველე-კამერალური შესწავლა-შეფასება

მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს საყრდენების დაფუძნების არეალის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დეტალური კამერალური და საველე შესწავლა-შეფასება. კვლევების საფუძველზე შეფასებულ უნდა იქნეს არსებული მდგომარეობა და დაიგეგმოს მომავალი სამოქმედო პროგრამა.

4.2 საყრდენების დაფუძნების წერტილების და მიმდებარე საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შეფასება, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენა, ლაბორატორიული კვლევების ჩატარება. საჭიროების შემთხვევაში გრუნტ(ებ)ის მდგრადობის დეტალური ანგარიში

რაიონის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული, კლიმატური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დახასიათება - ადგილმდებარეობის მონაცემები, კლიმატის, ქარის გაბატონებული მიმართულების, მისი სიჩქარის და დაწნევის, ატმოსფერული ნალექების მ. შ. თოვლის საფარის სისქის, წონის, ყინულმოცვის, ასევე გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური აგებულების შესახებ;

საყრდენის განლაგების ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დახასიათება - მონაცემები ადგილმდებარეობის ამგები გრუნტების ლითოლოგიური ჭრილის და ცალკეული გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესახებ, არსებობის შემთხვევაში გრუნტის წყლის დონის, მინერალიზაციის, ფილტრაციის, აგრესიულობის ხარისხის და ზედაპირული წყლების მიერ წარეცხვა-დატბორვის საშიშროების და ა.შ. შესახებ;

ჰიდროლოგიური კვლევა: იმ შემთხვევაში თუ საკვლევი არეალის მიდამოებში დაფიქსირდება რაიმე სახის ჰიდროლოგიური რისკი საჭიროა ჩატარებულ იქნეს დეტალური ჰიდროლოგიური კვლევა, რომლის ანგარიშიც უნდა მოიცავდეს მიმდებარე ტეიროტირაზე არსებული ხევის (ნალექების პერიოდში ხდება წყლის ჩამოდინება) მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათებას, წყლის მაქსიმალური ხარჯების მოცულობებს, წყლის მაქსიმალური დონეების სიდიდეებს, კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი და ადგილობრივი გარეცხვის სიღრმეებს, შესაბამის ანგარიშებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს, გამოყენებულ ლიტერატურას.

არსებული საყრდენის განთავსების ადგილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შეფასება (ანგარიშის მომზადება) - საწყის ეტაპზე ინჟინერ-გეოლოგის მიერ უნდა იქნეს შედგენილი პროგრამა ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. პნ.02.01-08 (შენობებისა და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. 2.02.03-85 და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. ანგარიშში მოცემულ უნა იქნეს არსებული საყრდენის განთავსების არეალში (ოთხივე ფეხისათვის) და მიმდებარე ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში პროცესების და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შეფასება, მათი მომცველი ტერიტორიების საზღვრები, ნაკადის მოსალოდნელი ხარჯი და ჩამონატანის მოცულობა. საშიშროების ზონები და საზღვრები მოცემულ უნდა იქნეს რუქაზე დატანილი ფორმით, რომელზეც დამატებით უნდა აღინიშოს საზღვრების კონკრეტული X, Y (UTM 38T) კოორდინატები. დეტალური კვლევისათვის საჭიროების შემთხვევაში, გასაყვანი შურფ/ჭაბურღილის გარდა უნდა განხორციელდეს სიტუაციურ გეგმაზე მოცემულ მთლიან საკვლევ ტერიტორიაზე დამატებითი შურფ/ჭაბურღილების გაყვანა, რაც უნდა განხორციელდეს თვითონ კვლევის შემსრულებლის/ჩამტარებლის მიერ საკუთარი ხარჯებით. დამატებით გასაყვანი შურფ/ჭაბურღილების მოცულობა (რაოდენობა და სიგრძე) უნდა დაადგინოს თავად კვლევის შემსრულებელმა/ჩამტარებელმა ინჟინერ-გეოლოგმა. საჭიროების შემთხვევაში საჭიროა ანგარიშში დამატებით მოცემულ იქნას საპროექტო საყრდენების საძირკვლების (ოთხივე ფეხი) და მისი მიმდებარე ტერიტორიის საშიში გეოდინამიკური პროცესებისგან კონკრეტული დამცავი რეკომენდაციები/ღონისძიებები: გაბიონის მოწყობა, დამცავი კედლის მოწყობა, რკინა-ბეტონის ღია არხის მოწყობა და სხვა. საჭიორების შემთხვევაში კონკრეტულად უნდა იქნეს მოცემული მოსაწყობი გაბიონის/დამცავი კედლის, რკინა-ბეტონის არხის და სხვა დამცავი ღონისძიებების მოწყობისათვის საჭირო სავარაუდო მოცულობები, არხის მიმართულება, განლაგება, სიგრძე/სიგანე და სხვა.

დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი საყრდენების გათავსების არსებული და საპროექტო წერტილების გრუნტ(ებ)ის მდგომარეობა და ჩატარდეს შესაბამისი ანგარიშები მათი მდგრადობის დადგენის მიზნით.

იმ შემთხვევაში თუ საყრდენის საპროექტო დაფუძნების წერტილები, საკვლევი არეალი და გრუნტები არამდგრადია (შეუძლებელია რაიმე სახის დამცავი ღონისძიებების გატარება) კვლევების შემსრულებელმა უნდა განსაზღვროს ალტერნატიული უსაფრთხო არეალი (წერტილები), რაც დატანილ უნდა იქნეს სიტუაციურ გეგმაზე, კონკრეტული კოორდინატების ჩვენებით. საჭიროების შემთხვევაში კვლევის ჩამტარებელმა (ინჟინერ-გეოლოგი) უნდა განახორციელოს უსაფრთხო არეალის ფარგლებში დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება ცხრილ №1-ში მოცემული პუნქტების შესაბამისად.

ლაბორატორიული კვლევა - საქართველოში მოქმედი ნორმების ს.ნ. და წ. 1.02.07-87 და სხვა შესაბამისად ჩატარებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო ლაბორატორიული კვლევა.

ლაბორატორიული კვლევა უნდა მოიცავდეს შემდეგს: გრუნტის ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი, გრანულომეტრიული ანალიზი, გრუნტის წყლების ქიმიური ანალიზი, გრუნტის ქიმიური ანალიზი და სხვა საჭირო ანალიზების სრული სპექტრი.

დამატებით ჩასატარებელი კვლევები და შესასწავლი ინფორმაციები:

ანგარიშში დამატებით მოცემულ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია/მონაცემები:

- ეგხ-ს დერეფნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა;
- რეგიონის ზოგადი გეოლოგიური რუკა;
- რეგიონის გეომორფოლოგიური დახასიათება;
- ზემოქმედება გრუნტის წყლებზე (დაცვის ღონისძიებები და სხვა);
- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები (მათ შორის საკვლევი ტერიტორიის არეალში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერა). გარდა აღნიშნულისა ანგარიშში საჭიროა მოცემულ იქნას იმ მეწყრული და მეწყერსაშიში უბნების დახასიათება, რომელშიც მოხდა ეგხ-ს ტრასის გვერდის ავლა.
- საშიში გეოლოგიური პროცესების (მათი არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

4.4 ჩატარებული კვლევების საფუძველზე საბოლოო ტექნიკური ანგარიშის მომზადება

ტექნიკური ანგარიში გასაწევ მომსახურებაზე უნდა იქნეს წარმოდგენილი დადგენილი მოცულობისა და ფორმის ტექნიკური ანგარიში დასკვნებით (ს.ნ. და წ. 1.02.07-87- ის მე-9 დანართის მოთხოვნათა გათვალისწინებით და სხვა), რეკომენდაციებით, ნახაზებით, ლაბორატორიული კვლევის შედეგებით და ფოტოსურათებით. აკინძული 3 (სამ) ეგზემპლარად (ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული) და ელექტრონული სახით (დასკნარებული ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული ვერსია .pdf ფორმატში). ანგარიში უნდა შეიცავდეს ყველა გამონამუშევრის ფოტოსურათს, აგრეთვე საშიში გეოდინამიკური პროცესების ამსახველი (ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა) ტერიტორიების ფოტოსურათებს. დამატებით ანგარიშში მოცემულ უნდა იქნეს უსაფრთხო არეალის (წერტილები) ფოტოსურათები (იმ შემთხვევაში თუ საკვლევი არეალი არამდგრადია და ინჟინერ-გეოლოგის მიერ განისაზღვრა ახალი უსაფრთხო არეალი). ანგარიშში მოცემულ უნდა იქნეს ყველა ის მასალები, მონაცემები, ტექნიკური სპეციფიკაცია, დამცავი ღონისძიებები/რეკომენდაციები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვა, რომელიც საჭირო იქნება შემდგომში დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის (ეგხ-ს რეკონსტრუციის მუშა პროექტი) და მშენებლობის ნებართვის აღებისათვის.

შენიშვნა: არეალის ფარგლებში ჩატარებული ყველა კვლევა უნდა ეფუძნებოდეს კონრეტულ სტანდარტს, ანგარიშებს და სხვა, რაც უნდა იყოს ტექნიკურ ანგარიშ(ებ)ში ნაჩვენები. ჩასატარებელი კვლევებისათვის საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები (ადრე ჩატარებული გეოლოგიური კვლევები, ტოპო-გეგმა და სხვა) მოძიებულ და დამუშავებულ უნდა იქნეს თავად კვლევების ჩამტარებლის/შემსრულებლის მიერ. ანგარიშში მოცემულ და შემსრულებლის მიერ მომზადებულ ყველა რუკაზე/გეგმაზე და ა.შ. დატანილ უნდა იქნეს ეგხ-ს არსებული/საპროექტო საყრდენის დაფუძნების ადგილზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკვლევ არეალში) დაბურღული წერტილები, კონკრეტული X, Y კოორდინატის ჩვენებით.

Marine Mardashova 51001006017

Digitally signed by Marine Mardashova
Date: 2022.12.02 14:19:43

სარჩევი

	შესავალი	11
I	რაიონის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების და გეოლოგიური აგებულების მიმოხილვა	13
I.1	კლიმატი	13
I.2	გეომორფოლოგია	17
I.3	ოროგრაფია	18
I.4	ჰიდროგრაფიული ქსელი	18
I.5	გეოლოგიური აგებულება	19
I.5.1	სტრატიგრაფია	19
I.5.2	ტექტონიკა	22
I.6	რაიონის ჰიდროგეოლოგიური პირობები	22
II	საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და კვლევები	27
	საპროექტო საყრდენი (ჭაბურღილი) N112'	27
	საპროექტო საყრდენი (ჭაბურღილი) N113'	32
	საპროექტო საყრდენი (ჭაბურღილი) N156'	36
	საპროექტო საყრდენი (ჭაბურღილი) N182'	39
დასკვნები და რეკომენდაციები		41
გამოყენებული ლიტერატურა		45

შესავალი

გასული 2022 წლის დეკემბრის თვეში სს **„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“** მიერ გაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე შპს **„წყალი და გრუნტი“** აწარმოებდა კომპლექსურ საველე და ლაბორატორიულ საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში და სოფ. ფარცხანაყანევში, 220 კვ ძაბვის ეგხ „კოლხიდა-1“-ის №112′, №113′, №156′ და №182′ საპროექტო საყრდენების დაფუძნების ადგილების უბნის ზოლში. შესრულებული სამუშაოების მიზანდასახულობა იმ გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის შერჩეული საპროექტო საყრდენების დაფუძნების ადგილებში და მიმდებარე ტერიტორიებზე ჩასატარებელია საინჟინრო-გეოლოგიური, ღვარცოფული, მეწყერსაშიში და სხვა გეოტექნიკური საფრთხეების შემცველი ადგილების კვლევა.

ზემოთ აღნიშნულ თითოეული საპროექტო საყრდენების მიმდებარე ტერიტორიაზე ამგები გრუნტები შესწავლილ იქნა 8.0მ სიღრმემდე, ეგხ-ის საძირკვლის დაფუძნების მიზნით. დავალების მიზანს წარმოადგენს ახალი შესასწავლი ზოლის ამგები გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დადგენა, შემდგომში ანძების ფუნდამენტის უსაფრთხოდ მოსაწყობად.

წინამდებარე ანგარიშში დეტალურად არის დახასიათებული განსახილველი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილი ცალკეული საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები, გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული შესწავლა და მისი ქიმიური შედგენილობა, მათი აგრესიულობა ბეტონის და ლითონის კონსტრუქციების მიმართ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. უკლებლივ ყველა ჭაბურღილი სვეტური მეთოდით არის გაბურღული კერნის აღებით ჭაბურღილის მთლიან სიღრმეზე. მითითებულია ლაბორატორიული შესწავლისათვის განკუთვნილი კერნის ნიმუშების აღების ინტერვალები და მათი რაობა ვიზუალური შეფასებით.

წინამდებარე ანგარიში განხილულ უნდა იქნას როგორც შემაჯამებელი, დასკვნითი ინფორმაცია სამუშაოთა იმ ძირითადი სახეობების შესახებ, რომლებიც ჩატარდა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 220 კვ ძაბვის ეგხ „კოლხიდა-1“-ის №112′, №113′, №156′ და №182′ თითოეული საპროექტო საყრდენების მიმდებარე ტერიტორიაზე მთლიანი პერიოდის განმავლობაში და რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით.

საკვლევ ტერიტორიაზე შესრულებულ სამუშაოთა ძირითადი სახეობები

№№	სამუშაოს სახეობა	განზომილება	შესრულებული მოცულობა	შენიშვნა
I	საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ფონდური მასალის მოძიება და დამუშავება			
II	საინჟინრო-გეოლოგიური საკარტირებო ჭაბურღილების ბურღვა სვეტური მეთოდით, კერნის აღებით ჭაბურღილის მთლიან სიღრმეზე	გრძივი მეტრი	32	სამუშაოების ხანგრძლივობა 40 კალენდარული დღე
III	კერნის ნიმუშების აღება ლაბორატორიული შესწავლის მიზნით	ნიმუში	16	
IV	ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ლაბორატორიული განსაზღვრა	ნიმუში	16	
V	ქანიდან გამონაწურის ქიმიური ანალიზი	ნიმუში	12	
VI	წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი	სინჯი	3	
VII	ეტაპობრივად დაგროვილი ფაქტობრივი მასალის კამერალური დამუშავება და საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშების წარდგენა	ანგარიში	1	

ბურღვის მონაცემები საუძვლად უნდა დაედოს საყრდენებს შორის საძირკვლის მოწყობას და კონსტრუქციულ გადაწყვეტას. ანძის საყრდენების გასწვრივ არსებული სიღრმული გეოლოგიური სურათი აგებულ შესაბამის ლითოლოგიურ ჭრილებზე არის ასახული. საკვლევ ტერიტორიაზე განხორციელებული ბურღვითი სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მიზანს ზემოთ ხსენებული ანძების მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების საინჟინრო-გეოლოგიური დასაბუთება წარმოადგენს.

იმასთან დაკავშირებით, რომ წინამდებარე ანგარიში სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული 220 კვ ძაბვის ეგხ „კოლხიდა-1“-ის №112′, №113′, №156′ და №182′ თითოეული საპროექტო საყრდენების მიმდებარე ტერიტორიაზე შესრულებული სამუშაოების ერთგვარ შემაჯამებელ ინფორმაციას წარმოადგენს, საჭიროდ მივიჩნევთ მოვიყვანოთ ზოგადად სამტრედიის მუნიციპალიტეტის და მიმდებარე ტერიტორიების ბუნებრივ-გეოლოგიური პირობების მოკლე აღწერილობა. რა თქმა უნდა, აღწერილობაში ძირითადი ყურადღება საკვლევი ტერიტორიის პირობებს აქვს დათმობილი.

I. რაიონის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების და გეოლოგიური აგებულების მიმოხილვა

საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება კოლხეთის დაბლობს, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და განლაგებულია კავკასიონის და აჭარა-თრიალეთის ქედებს შორის.

კოლხეთის დაბლობის რელიეფი თანდათან დაბლდება შავი ზღვისკენ და ასევე თანდათან საფეხურისებურად მაღლდება, როგორც ჩრდილოეთისკენ, ასევე სამხრეთისაკენ. ზღვისპირა დაბლობი ხასიათდება დიდი დაჭაობებით.

კოლხეთის დაბლობი, იმყოფება რა მსხვილი ტექტონიკური რღვევის ზონაში, ინტენსიურად იძირება და ეს დაძირვა ჩქარდება შავი ზღვის დონის ევსტატიკური ამაღლებით. სამი მხრიდან შემაღლებული ფერდობებით შემოსაზღვრული, ხოლო დასავლეთიდან შავი ზღვით ერთგვარად "შეკავებული" დაბლობი უხვად მარაგდება ზედაპირული და მიწისქვეშა (მათ შორის, წნევიანი) წყლებით, რასაც თან ერთვის ჭაობწარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი - ჰიდრავლიკური კავშირი მიწისქვეშა წნევიან და უწნევო გრუნტის წყლებს შორის, როდესაც ხშირად ადგილი აქვს წნევიანი წყლების ჰიდროიზოპიეზების ჰიფსომეტრულ აღმატებას უწნევო წყლების ჰიდროიზოჰიფსებთან შედარებით.

ქვემოთ მიმოხილულია საკვლევირაიონის ბუნებრივი პირობების ფონური მახასიათებლები.

I.1კლიმატი.

საკვლევი ტერიტორიის კლიმატური პირობების შეფასება ეყრნობა ქ. სამტრედიის (118) მეტეოსადგურების მონაცემებს.

მონაცემები მიღებულია სამშენებლო კლიმატოლოგიის სტანდარტით (პნ 01.05-08). საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება III კლიმატურ და III-ბ ქვერაიონს.

საკვლევი ტერიტორია დასავლეთ საქართველოს კლიმატური ოლქის ე.წ. "ქვედა ზონაში" თავსდება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი მაღალი ტემპერატურული რეჟიმით. ყველაზე ცივი თვე იანვარია (ზოგჯერ თებერვალიც), რომლის საშუალო ტემპერატურა 2-6^{0}C ფარგლებშია, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურა 22-28^{0}C ფარგლებშია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილ I.2-ში ასახულია ჰაერის ტემპერატურის საშუალო სიდიდეები და აბსოლუტური მინიმუმები სამტრედიის მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით.

ცხრილი I.2

ჰაერის ტემპერატურის საშუალო თვიური, აბსოლუტური მაქსიმუმი და მინიმუმი

სამტრედიის სადგურის მონაცემებით	თვეები											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
საშუალო	5.2	5.8	8.4	12.9	17.9	21.0	23.2	23.6	20.5	16.4	11.5	7.5
აბს. მაქსიმუმი	9.0	9.9	13.3	18.9	24.1	27.0	28.4	28.9	26.0	21.8	15.9	11.4
აბს. მინიმუმი	2.0	2.5	4.4	8.4	12.7	16.2	18.7	19.3	15.9	12.1	8.2	4.6

ჰაერის ტემპერატურა

აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო	საშუალო ტემპერატურა 13:00 საათზე	
						ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
-17	41	28.8	-3	-7	4.5	7.2	27.5

ყინვა იშვიათია. ყინვისგან თავისუფალი დღეების რაოდენობა წელიწადში 330 შეადგენს.

საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ჰაერის ტენიანობის სიდიდეებზე თვეების მიხედვით და საშუალოდ წელიწადში წარმოდგენას გვაძლევს ცხრილ I.3-ში მოყვანილი მონაცემები.

ცხრილი I.3

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

სამტრედიის სადგურის მონაცემებით	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
	76	75	73	72	73	75	78	80	81	79	72.5	72	76

როგორც ვხედავთ, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში მაღალ ნიშნულზე (70-80%) არის შენარჩუნებული. ჭარბ ტენიანობას რეგიონში გავრცელებული დაჭაობებული ფართობებიც უწყობს ხელს.

კოლხეთის დაბლობი ატმოსფერული ნალექების სიუხვით გამოირჩევა, მათი წლიური რაოდენობა ფართო დიაპაზონში იცვლება,ხოლო რიონის ქვემო წელში 1400-1500 მმ (ცხრილი I.4).

ცხრილი I.4

ატმოსფერული ნალექების რაოდენობა

სადგური	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
სამტრედია	152	136	125	85	83	96	104	95	118	154	131	137	1416

ზოგადი კანონზომიერების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნალექების წლიურ განაწილებაში ორი მაქსიმუმი და ორი მინიმუმი შეინიშნება, თუმცა, არცთუ იშვიათად, ეს კანონზომიერება ირღვევა, ისე რომ, ტერიტორიისთვის მთლიანად გატენიანების დადებითი ბალანსი არის დამახასიათებელი, ხოლო გატენიანების კოეფიციენტი საშუალოდ 2.5 - 3.0 ტოლია.

დაბოლოს, თუ მივმართავთ კოლხეთის დაბლობის მიკროკლიმატური დარაიონების სქემას, უშუალოდ ჩვენი საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება ტენიან-სუბტროპიკულ ტიპს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი თბილი ზამთრით და ცხელი ზაფხულით, ატმოსფერული ნალექების ინტენსიური გამოყოფით წლის განმავლობაში.

ხმელეთისა და ზღვის არსებობა მდინარეების ხეობებთან ერთად განაპირობებს ქარის სხვადასხვა მიმართულებას და სიჩქარეს. ზამთარში გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარი ხმელეთიდან ზღვისკენ, ხოლო ზაფხულში პირიქით, ზღვიდან ხმელეთისაკენ. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 1-2 მ/წმ-ს შეადგენს. ძლიერი ქარი აღინიშნება მდინარე რიონის ხეობაში 4-5 მ/წმ.

- ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში შეადგენს - 1416 მმ;

- ნალექების დღეღამური მაქსიმუმი - 145 მმ;
- თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 16;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა *W*%5 წელიწადში ერთხელ 0.38 კპა;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა *W*%15 წელიწადში ერთხელ 0.48 კპა;

- 1წელიწადშიერთხელმოსალოდნელიაქარი,სიჩქარით23მ/წმ;
- 5წელიწადშიერთხელმოსალოდნელიაქარი,სიჩქარით25მ/წმ;
- 10წელიწადშიერთხელმოსალოდნელიაქარი,სიჩქარით26მ/წმ;
- 15წელიწადშიერთხელმოსალოდნელიაქარი,სიჩქარით27მ/წმ;
- 20წელიწადშიერთხელმოსალოდნელიაქარი,სიჩქარით28მ/წმ;

ქარის მიმართულებები და სიჩქარეები იმავე მეტეოსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია ცხრილ I.5-ში.

ცხრილი I.5

ქარისმახასიათებლები

ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ	
ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი
0/1	1/1	67/14	7/3	1/2	6/19	17/56	1/4	7.9/1.6	2.9/0.7

ქარის მახასიათებლები

ქარის მიმართულების და შტილის განმეორებადობა (%) შტილი								
ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
0	1	45	6	1	11	34	2	35

გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე მოცემულია ცხრილ I.6-ში.

ცხრილიI.6

გრუნტის სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე

პუნქტი	თიხოვანი დათიხნარი	წვრილიდამ ტვრისებრი ქვიშისქვიშნარი	მსხვილი და საშუალოსიმსხვილის ხრეშისებურიქვიშის	მსხვილნატეხი
სამტრედია	0	0	0	0

I.2 გეომორფოლოგია

კოლხეთის დაბლობის და მისი მიმდებარე რაიონების თანამედროვე მორფოლოგიურ-სტრუქტურული სახე ძირითადად განისაზღვრება გეოლოგიური აგებულებით და მიწის ქერქის მოცემული უბნების გეოლოგიური განვითარების ისტორიით. კოლხეთის დაბლობის განვითარების ძირითადი პროცესის მიმართულება განპირობებულია მისი გეოტექტონიკური ბუნებით, კერძოდ იმით, რომ იგი მიეკუთვნება დიდი და პატარა კავკასიონის დანაოჭებულ მთაგრეხილებს შორის მოთავსებულ შუალედურ მასივს - მთათაშუა ჩაღრმავებას. კოლხეთის დაბლობი მდებარეობს ამ შუალედური მასივის - ე. წ. საქართველოს ბელტის დასავლეთ ნაწილში. ოროგენულ ეტაპზე (ძირითადად ოლიგოცენიდან), ტექტონიკური რეჟიმის და რელიეფის ინვერსიასთან დაკავშირებით, ზემოთ აღნიშნული შუალედური მასივი იძირება, რის შედეგადაც ხდება მისი მთათაშუა ჩაღრმავებად ჩამოყალიბება, სადაც ხორციელდება აღმავალი მთათა სისტემების ეროზიის შედეგად გამოფიტული მასალის - მძლავრი მოლასური ნალექების აკუმულაცია. დაძირვა განსაკუთრებით ძლიერდება გვიან ოროგენულ სტადიაზე (გვიანი სარმატი - პლეისტოცენი და ჰოლოცენი). აღნიშნული კი, განსაზღვრავს კოლხეთის თანამედროვე, დაბალ ჰიფსომეტრულ მდებარეობას.

საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით [ასტახოვი, 1970], კოლხეთის დაბლობის საკვლევი რაიონი მიეკუთვნება შავი ზღვის ტრანსოროგენული გაღუნვის ნეოგენურ პერიკლინური დაძირვის რეგიონს და ხასიათდება აკუმულაციური რელიეფით, რომელიც განვითარებულია პლიოცენ-მეოთხეულის დაძირვის ზონის ალუვიურ და ზღვიურ ნალექებზე. ლითოლოგიურად მეოთხეული წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარით, კენჭნარით და ქვიშა-თიხოვანი წარმონაქმნებით, შრეების ხშირი მონაცვლეობით როგორც ვერტიკალურ ჭრილში, ასევე ფართობრივად.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობზე განვითარებულ მეოთხეულ ნალექებს, კერძოდ, პლეისტოცენს, ა.ლალიევი სამ სტრატიგრაფიულ ერთეულად ჰყოფს:

- ქვედა მეოთხეული (ეოპლეისტოცენი);
- შუა მეოთხეული (მეზოპლეისტოცენი) და

- ზედა მეოთხეული (ნეოპლეისტოცენი), რომლებიც კოლხიდაში ყველგან გადაფარულია 40 – 50მ სიმძლავრის ჰოლოცენის წარმონაქმნებით.

I.3 ოროგრაფია

კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს საქართველოს მთათაშუეთის დასავლეთ ნაწილს. წარსულში ის არაერთხელ განიცდიდა შავი ზღვის დონის რყევის გავლენას, გამოწვეულს ეფსტატური და ტექტონიკური მოძრაობებით, ასევე მრავალრიცხოვანი მდინარეების აკუმულაციური მოქმედებებით.

კოლხეთის დაბლობი გეოლოგიურ და ოროგრაფიული აგებულებით შედგება ორი განსხვავებული ნაწილისაგან: მოსწორებული დაბლობისაგან და დაბალმთიან-ბორცვიან მთისწინეთისგან. კოლხეთის ბრტყელი ძირი, რომელიც წარმოადგენს აკუმულაციურ დაბლობს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოსაზღვრულია ბორცვიანი ზოლით, რომლებიც წარმოადგენენ დიდი და მცირე კავკასიონის მთისწინეთს

I.4 ჰიდროგრაფიული ქსელი

კოლხეთის დაბლობის ტერიტორია დასავლეთ საქართველოს მდინარეებისთვის ეროზიის ბაზისს წარმოადგენს. დაბლობის ჰიდროგრაფიულ ქსელში მდინარეთა ორი ჯგუფი გამოიყოფა - საკუთარი და ტრანზიტული მდინარეები. დაბლობის ფარგლებში მდინარეთა საერთო რაოდენობა 5930 შეადგენს, მათგან 5769 მდინარის სიგრძე 10 კმ-ს არ აღემატება. ეს მდინარეები დაბლობის ფარგლებშივე გავრცელებულ ჭაობებში იბადებიან და საკუთარ მდინარეებად იწოდებიან. საკვლევ ტერიტორიაზე შედარებით ახლო მდინარეებია რიონი, ცხენისწყალი და გუბისწყალი.

მდ. რიონი სათავეს იღებს დიდი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ფასის მთის ძირში 2620 მ სიმაღლეზე და შავ ზღვაში ჩაედინება ქ. ფოთთან. მდინარის სიგრძე 327 კმ, წყალშემკრები აუზის ფართობი 13400 კმ^2. ჰიდროგრაფიული ქსელის საშუალო სიხშირე

0.99 კმ/კმ^2. მდინარის სიგანე იცვლება 66-დან 250 მ-დე, უმეტესად 120 მ-ია. დინების სიჩქარე მერყეობს 0.3-დან 1 მ/წმ-მდე. მდინარის კვება ხორციელდება მყინვარული, თოვლის, წვიმის და გრუნტის წყლების ხარჯზე. წლიური ნაკადის საშუალო მრავალწლიური ხარჯი შესართავთან შეადგენს 409 მ^3/წმ. მდინარის წყალი გამოიყენება ძირითადად ენერგეტიკული მიზნებისთვის.

მდ. გუბისწყალი წარმოიშობა ორი პატარა მდინარის-კუმის და უსახელოს შერწყმით 105 მ სიმაღლეზე და მდ. რიონში მარჯვენა ნაპირიდან ჩაედინება სოფ. ახალსოფელთან. მდინარის სიგრძე 36 კმ. წყალშემკრები აუზის ფართობი 442 კმ^2. ჰიდროგრაფიული ქსელის საშუალო სიხშირე 0.82 კმ/კმ^2. მდინარის სიგანე 4-25 მ. მდინარის დინების სიჩქარე 0.4 მ/წმ. მდინარე ძირითადად წვიმის წყლით იკვებება. წლიური ნაკადის საშუალო მრავალწლიური ხარჯი შესართავთან შეადგენს 16.4 მ^3/წმ.

I.5 გეოლოგიური აგებულება

I.5.1 სტრატიგრაფია

კოლხეთის დაბლობის პერიფერიებზე - ურთის, ეკის, ცაიშის ანტიკლინური სტრუქტურებისფარგლებში, აგრეთვე აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე - შიშვლდება მეზოზოური და კაინოზოური ასაკის ტერიგენული, ვულკანოგენური და კარბონატული ფორმაციის ნალექები, რომლებსაც წინამდებარე ანგარიშის განსახილველ საკითხთან უშუალო კავშირი არა აქვთ. ამიტომ, აღნიშნული ფორმაციების აღწერილობაზე არ შევჩერდებით, განვიხილავთ მხოლოდ მეოთხეულის ნალექებს, რომლებითაც ამოვსებულია კოლხეთის დეპრესია (ნახ. I.1).



ნახ.I.1. საკვლევი რაიონის ტერიტორიის გეოლოგიური რუკა
(ავტორი: გ. გუჯაბიძე, 2003 წ)

მეოთხეული სისტემა (*Q*). კოლხეთის დეპრესიის ფარგლებში მეოთხეულ წარმონაქმნებს ძალზე ფართო გავრცელება აქვს და დიდი სიმძლავრით (>500მ) გამოირჩევა. ასაკობრივად გამოიყოფა ძველმეოთხეული და თანამედროვე ნალექები. მათ აკუმულაციაში წამყვანი როლი მდინარეების - ენგურის, ხობის, ტეხურის, აბაშას, ცხენისწყლის, რიონის, სუფსას და ა. შ. გეოლოგიურ მოქმედებას ეკუთვნის, რაც დიდი რაოდენობით მექანიკური მასალის ტრანსპორტირებასა და დალექვაში გამოიხატება. ძველმეოთხეულ ნალექებში სხვადასხვა შრეები გამოიყოფა, როგორიცაა ჩაუდა, ძველევქსინური, უზუნდარა, კარანგატი, ახალევქსინური და შავი ზღვის ძველმეოთხეული წარმონაქმნები. ზოგადად,

ძველმეოთხეული ნალექების სტრატიგრაფიულ ერთეულებად დაყოფა გართულებულია, თუმცა, ლითოლოგიური ნიშნებით ძველმეოთხეულს ჰყოფენ ორ ნაწილად - ქვედა და ზედა ძველმეოთხეული ნალექები. ქვედა ნაწილში განვითარებულია როგორც ზღვიური, ასევე კონტინენტური ფაციესის ქანები - თიხები, ქვიშიანი თიხები, იშვიათად კონგლომერატები. ზედა ნაწილი უმეტესად წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარით, კენჭნარით და ქვიშის შრეებით. ძველმეოთხეული ნალექების სიმძლავრე რამდენიმე ათეულიდან 300 მეტრამდე იცვლება, მაქსიმუმს აღწევს ზღვისპირა ზოლში. ზედა ნაწილის კაჭარ-კენჭნარის სიმძლავრე 150 - 200 მეტრია. სამხრეთის მიმართულებით უხეშმარცვლოვანი კაჭარ-კენჭნარი თანდათან იცვლება წვრილმარცვლოვანი კენჭნარით, ხოლო შემდეგ თიხური წარმონაქმნებით. საერთო კანონზომიერების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ძველმეოთხეული წარმონაქმნების სიმძლავრე მატულობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და კლებულობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

თანამედროვე ალუვიური მეოთხეული ნალექები ($Q_{IV}al$) - წარმოდგენილია კენჭნარით, ხრეშით, ქვიშებით, იშვიათად ქვიშნარით, თიხნარითა და თიხებით. ალუვიონის გავრცელების არეალი დიდი მდინარეების კალაპოტი, ჭალა და ჭალისზედა ტერასებია. მათგან აღსანიშნსვია მდინარეები რიონი, ხობისწყალი და ენგური, რომელთა ფართო ჭალები დიდი სიმძლავრის (>30მ) ალუვიური წარმონაქმნებით არის აგებული.

პროლუვიურ-დელუვიური წარმონაქმნები ($Q_{4\,pr-d}$) - განვითარებულია დაბლობის პერიფერიებზე, აჭარა-იმერეთის, ურთას, ეკის, აბედათის ქედების ფერდობების ძირში, აგრეთვე მდინარეთა გამოტანის კონუსების ფარგლებში. ლითოლოგიურად აგებულია კენჭნარით, ქვიშა-თიხიან შემავსებელზე. სიმძლავრე 10-15 მეტრს არ აღემატება.

დაჭაობებული უბნების ნალექები (Q_4) - ფართო გავრცელებისაა კოლხეთის არტეზიული აუზის ფარგლებში, ქ.სენაკის მერიდიანის დასავლეთით. ეს წყება აგებულია ჭაობის თიხებით, ჰუმუსიანი თიხებითა და ქვიშებით, რომლებშიც ხშირია ტორფის შუაშრეები და ლინზები, სიმძლავრით 1,5 - 2,0 მ. ტორფის ბუდობები განვითარებულია მდ.ხობისწყლის ორივე ნაპირზე, აგრეთვე პალიასტომის ტბის შემოგარენში და ქობულეთის დაბლობზე.

I.5.2 ტექტონიკა

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (პ. გამყრელიძე) კოლხეთის დაბლობი საქართველოს ბელტის დასავლეთი დაძირვის კოლხეთის ზონას მიეკუთვნება. საკუთრივ დაბლობის ფარგლებში პლიკატური და წყვეტითი დისლოკაციები დაძირულია მძლავრი მეოთხეული ნალექების ქვეშ და მათი არსებობა ბურღვითი სამუშაოებით არის დადგენილი. ცენტრალური სამეგრელოს ტერიტორია სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან ანტიკლინებით არის შემოსაზღვრული, რომლებიც, ძირითადად, მეზოზოური ნალექებით არის აგებული და ლიტერატურაში ცნობილია ცაიშის, ეკის, ნოქალაქევის, აბედათის ანტიკლინების სახელწოდებით. თვით კოლხეთის დაბლობი კი განიხილება როგორც ფართო სინკლინორიუმი, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ანტიკლინური და სინკლინური სტრუქტურები გამოიყოფა. მათი ღერძები ორიენტირებულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ზოგჯერ კი განედური მიმართულებით. ამ სტრუქტურების განლაგების სიღრმე და მათი აგებულება, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად, ღრმა ბურღვის მონაცემებით არის დადგენილი, ნაწილობრივ გეოფიზიკური სამუშაოებით. აქ არ შევუდგებით ცალკეული სტრუქტურების დახასიათებას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათ შორის უმთავრესია ჭალადიდი-ყულევის ანტიკლინი, ქვალონის ანტიკლინი, ჭალადიდის სინკლინი, ფოთი-ნაბადას სინკლინი, ხოლო უფრო სამხრეთით - სუფსა-ომფარეთის, ზემო ნატანების ანტიკლინები და გურიის სინკლინი.

I.6 რაიონის ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ბუაჩიძე, 1965), განსახილველი ტერიტორია მოიცავს საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ჰიდროგეოლოგიური ოლქის ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების კოლხეთის არტეზიული აუზის რაიონს.

აღნიშნული არტეზიული აუზის ფარგლებში გავრცელებული სხვადასხვა ასაკის და ლითოლოგიის წყალშემცველ ჰორიზონტებსა და კომპლექსებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზღვიური და ალუვიური, ზედა და შუა მეოთხეულ ნალექების წყალშემცველ ჰორიზონტებს.



ნახ. I.2. 112’ და113’ საყრდენების დაფუძნების მიმდებარე ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური რუკა
(ავტორი: ვ. ბესელია)



ნახ.I.3. 156’ და182’ საყრდენების დაფუძნების მიმდებარე ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური რუკა
(ავტორი: ვ. დოლიძე)

ზედა და შუა მეოთხეული ზღვიური და ალუვიური ნალექები კოლხეთის დაბლობის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. აგრეთვე აღნიშნული ნალექებითაა წარმოდგენილი მდ. მდ. რიონის, ცხენისწყალის, ხობის, ენგურის, ტეხურის, ყვირილას, სუფსის და ა.შ. კალაპოტისპირა მაღალი ტერასები. ზედა და შუა მეოთხეული ზღვიური და ალუვიური ნალექების აგებულებაში მონაწილეობას ღებულობს ქვიშის და თიხნარის შემავსებლიანი ლოდნარ-კაჭარი. ამასთან ეს ნალექები ლითოლოგიურად არ განსხვავდებიან ზემოთ განლაგებული თანამედროვე ზღვიური და ალუვიური ნალექებისაგან და წარმოადგენენ ერთიან წყალშემცველ კომპლექსს.

მეოთხეული ნალექების წოლის პირობების სხვადასხვა გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, კოლხეთის დაბლობი ლ. ხარატიშვილის და ლ. ვოროტინცევას მიხედვით იყოფა ოთხ რაიონად: 1) მდ. ენგურის დელტა, 2) მდ. რიონის დაჭაობებული დაბლობი, 3) შუამდინარეთი რიონი-ტეხური და 4) მდინარეების მაღალი ტერასები, რომლებიც ახდენენ კოლხეთის დაბლობის დრენიერებას.

მდ. რიონის დაჭაობებული დაბლობის რაიონში ძირითადად განვითარებულია ზღვიური და ალუვიური, ქვიშიან-თიხური და ქვიშიანი ნალექები. პერიფერიულ ზონაში და აღნიშნულ რაიონში 100 მ სიღრმემდე უპირატესი ადგილი უკავიათ ლოდნარ-კაჭარს, რომლებიც ცენტრალურ დადასავლეთ ნაწილში ფაციალურად იცვლება თიხებით და ქვიშიანი თიხებით. ამ ნალექების სახურავი სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით იძირება თანამედროვე ალუვიური და ტბიურ-ჭაობური ნალექების ქვეშ. ამავე მიმართულებით იზრდება ზედა და შუა-მეოთხეული ნალექების სიმძლავრე 200-250 მ-დე.

რიონი-ტეხურის შუამდინარეთის ფარგლებში განვითარებულია ალუვიური ლოდნარ-კაჭარი, კაჭარი და იშვიათად ქვიშა-თიხიანი და თიხიანი ნალექები. ზედაპირზე განვითარებული თიხნარების და თიხების სიმძლავრე სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით იზრდება და რამდენიმე მეტრიდან 30 მ-ს აღწევს. აღნიშნული ნალექების საერთო სიმძლავრე 250 მ, რომელიც აღმოსავლეთი მიმართულებით მცირდება (აბაშა-სენაკის ზოლი).

დიდი მდინარეების კალაპოტების გასწვრივ ჩამოყალიბებული მაღალი ტერასები წარმოდგენილია ქვიშის და გრაველიტების შემავსებლიანი ალუვიური კაჭარით და კენჭნარებით. ნალექების სიმძლავრე მერყეობს 5-დან 10-მ-მდე, ზოგჯერ 30 მ. ტერასული ნალექების მიწისქვეშა წყლები წარმოდგენილია იმ სახის გრუნტის წყლებით, რომელთა დინება მიმართულია ხეობის გასწვრივ.

რიონი-ტეხურის შუამდინარეთში მიწისქვეშა წყლების წოლის სიღრმე მათი მოძრაობის მიხედვით ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ მთისწინა ნაწილში იცვლება 10 მ-დან 1 მ-დე სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ფილტრაციის კოეფიციენტი მერყეობს 1.5-დან 300 მ/დღ.ღ. წყალგამტარობის კოეფიციენტი – 50-დან 10 000 $მ^2$/დღ.ღ. კოეფიციენტის კლება დაიკვირვება სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით. ზედა და შუა- მეოთხეული ნალექების წყლების მინერალიზაცია, რიონი-ტეხურის შუამდინარეთში წყალშემცველი კომპლექსის დაძირვის მხარეს მცირეა და არ აღემატება 0,2-0,6 გ/ლ. ქიმიური შედგენილობის მიხედვით ისინი ძირითადად ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-ნატრიუმიანი ტიპისაა.

მდ. რიონის დაჭაობებული დაბლობის წყლები ხასიათდებიან საკმაოდ მრავალფეროვანი ქიმიური შედგენილობით. აქ საშუალო სიხისტის (1.5-6 მგ-ექვ/ლ) მიწისქვეშა წყლების ზღვისკენ მოძრაობასთან ერთად ხდება წყლის ქიმიური შედგენილობის შეცვლა ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-ნატრიუმიან ტიპიდან ქლორ-ნატრიუმიანი ტიპით, ამასთან მინერალიზაციაც მატულობს 0,1-დან 15 გ/ლ-მდე. წყლების ტემპერატურა 15-18°ჩ.

აღწერილი მეოთხეული ნალექების მიწისქვეშა წყლების რეჟიმი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ატმოსფერულ ნალექებთან და ადგილობრივი მდინარეების რეჟიმთან. შესაბამისად დონეთა რეჟიმის წლიურ ციკლში შეინიშნება 2 მაქსიმუმი (აპრილი-მაისი და სექტემბერ-ოქტომბერი) და 2 მინიმუმი (დეკემბერ-იანვარი და ივლის-აგვისტო). მიწისქვეშა წყლების დონეების მერყეობის საშუალო წლიური ამპლიტუდა შეადგენს 1-4,2 მ-ს და თანდათან მცირდება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით. ამასთან ქიმიური შედგენილობა და საერთო მინერალიზაცია

იცვლება უმნიშვნელოდ. აღწერილი კომპლექსის მიწისქვეშა წყლების კვება ხორციელდება ატმოსფერული ნალექების და მსხვილი მდინარეების მძლავრი კალაპოტისქვეშა ნაკადების წყლების ხარჯზე.

რიონი-ტეხურას შუამდინარეთის აუზში დაწნევითი წყლების მოძრაობა ხორციელდება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. პიეზომეტრიული დონის საშუალო დაქანება 0.003. კვების ძირითად წყაროდ გვევლინებიან განტვირთვის არედან 80-120 მ-ით ამაღლებული მდ. რიონის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილები. ხოლო ნაწილობრივი განტვირთვის არე წარმოდგენილია აღმავალი წყაროების სახით, ძირითადი განტვირთვის არე კი, ქ. სამტრედიას დასავლეთით მდ. რიონის კალაპოტის გასწვრივ წყაროებით.

მდ. რიონის დაჭაობებული აუზის მიწისქვეშა წყლები მოძრაობენ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით, ანუ დეპრესიის კიდურა მხარეებიდან ცენტრისკენ. აგრეთვე აღმოსავლეთიდან დასავლეთით, მდ. რიონის დინების მიმართულებით. კომპლექსის კვების არე მდ. რიონის აუზის ჩრდილოეთ და სამხრეთ პერიფერიულნაწილში მდებარეობს. გარდა ამისა, კვება აგრეთვე ხორციელდება რიონი-ტეხურის აუზიდან, წყების ფილტრაციის და პირდაპირი გადადინების შედეგად. წყალშემცველი კომპლექსი განიტვირთება ფილტრაციული გადადინებით, გამორიცხული არაა, რომ განტვირთვა ზღვის ფსკერზეც ხდებოდეს,განსაკუთრებით მდ. მდ. რიონის, სუფსას და ენგურის შესართვებთან, სადაც ადგილი აქვს დიდი და ღრმა (100 მ-დე) წყალქვეშა კანიონების არსებობას. ლ. ხარატიშვილის გაანგარიშებით, აღწერილი წყალშემცველი კომპლექსის დაწნევითი წყლების ძირითად განტვირთვის არეს სავარაუდოდ წარმოადგენს დაბლობის დაჭაობებული ადგილი, სადაც განიტვირთება 10 000 ლ/წმ რაოდენობის წყალი.

II. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და კვლევები

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. სამტრედიის (112’ და 113’ საპროექტო საყრდენი) და სოფ. ფარცხანაყანების (156’ და 182’ საპროექტო საყრდენი) ტერიტორიის მიმდებარედ. 220 კვ ძაბვის ეგხ „კოლხიდა-1“-ის №112′, №113′, №156′ და №182′ საპროექტო საყრდენების დაფუძნების ადგილების სიტუაციური გეგმა მოცემულია დანართ 1.1; 1.2 და 1.3-ში. აღვნიშნავთ, რომ საპროექტო საყრდენები ერთმანეთისგან დაშორებულია დიდი მანძილით (ასეული მეტრიდან კილომეტრამდე), შესაბამისად ჰორიზონტალური ჭრილები არ იქნა აგებული.

ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია მეოთხეული ასაკის განსხვავებული გენეზისის და ლითოლოგიის ქანებისგან. რთული გეომორფოლოგიური და ტექტონიკური პირობებიდან გამომდინარე საკვლევ არეალში მკვეთრად იცვლება გრუნტების ლითოლოგია, გენეზისი და ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები.

ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ უბანზე ღვარცოფული, მეწყრული და სხვა საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება. სამშენებლო უბნები მდგრადია და მშენებლობისთვისდამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო თავისი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87 -ის დანართი 10-ის თანახმად, საკვლევი წერტილები განეკუთვნებიან **I (მარტივ)** და **II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.**

ქვემოთ მოცემულია ჭაბურღილების აღწერა და გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები თითოეული წერტილისთვის.

საპროექტო საყრდენი (ჭაბურღილი) N112'

საკვლევ არეალი მდებარეობს ქ. სამტრედიაში მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, მდინარიდან დაახლეობით 1.0 კმ-ის დაშორებით 21 მეტრ აბსოლუტურ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-279666.48 Y-4669777.49).

.

ნახ. I.1. 112’ და113’ საპროექტო საყრდენენის ადგილმდებარეობა ტოპორუკაზე

ძველ არსებულ 112 ანძასთან მოცემულ კორდინატზე X-279666.48 Y-4669777.49 გაყვანილ იქნა საძიებო ჭაბურღილი N112’ , რომლის ლითოლოგიური ჭრილი ნაჩვენებია დანართ 2.1-ზე.

გაყვანილ 8.2 მეტრი სიღრმის ჭაბურღილით გაიხსნა ოთხი ფენა; 0.00-0.20 მეტრის ფარგლებში ტექნოგენური ფენა, რომელსაც ქვეშ მოჰყვება თიხა მონაცრისფრო-ყავისფერი, მნელპლასტიკური, კოშტისებრი ჩანართებით, ტენიანი, მუქი ყავისფერი ბუდობებით, სუსტად კარბონატული 2.50 მეტრამდე.

2.50 მეტრიდან მეორე ფენის ქვეშ გავრცელებულია თიხაქვიშა მუქი ნაცრისფერი, წვრილ და საშუალო ნაცრისფერი, პლასტიკური, თიხნარის ლინზებით და შუაშრეებით, საშუალოდ კარბონატული ვრცელდება 5.50 მეტრამდე.

5.50 მეტრიდან მესამე ფენის ქვეშ ჩვენს მიერ შესწავლილ 8.20 მეტრამდე გახსნილია თიხაქვიშა მუქი ნაცრისფერი, წვრილ და საშუალო ნაცრისფერი, პლასტიკური, ქვიშის ლინზებით და საშუალო სისქის შუაშრეებით, საშუალოდ კარბონატული.

